საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. შაბათი, 15 თებერვალი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 18 მანეთი. ცალკე ნომერი 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საქმიანი განცხადება უნდა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერს რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან უკან დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 193 გაზ. „ერთობის" რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 37 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 37

# მოქალაქენო! დღეს დამფუძნებელი კრების არჩევნებია

გაეშურეთ საარჩევნო ყუთებისაკენ! არც ერთი ხმა დემოკრატიის მტრებს! ხმა მიეცით დემოკრატიის ერთგულ დარაჯს—საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიას.

არ დაკარგოთ საარჩევნო ხმა! ვინც დღეს დემოკრატიას არ ესმარება, ის მტერია—მოღალატეა მისი. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

## ხმა მიეცით № 1

შვილები: ელენე, ალექსანდრე და პეტრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეით 13 თებერვალს, რკ. გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა ერთად ერთი ნუგეში მამა

**იონა პავლეს ძე თევზაძე**

დასაფლავების დღე ცალკე გამოცხადდება. (1—1)

---

მე 8 უბნის კომისარი ს. ბოლქვაძე, კომისრის თანაშემწე შ. გომართელი, მ. თევზაძე და ამავე უბნის მილიციონერები ღრმის მწუხარებას გამოსთქვამენ უფროს მილიციონერის

**ნიკო მალხაზიშვილის**

ტრაღიკულად გარდაცვალებაზე, დასაფლავება მოხდება შაბათს, 15 თებერვალს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ბარბარე, დედა ელისაბედი, ძმა ვლადიმერი, რძალი ჭუჭუ, ძმის შვილები ალექსანდრე, ნიკო და კონსტანტინე ცომაიები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ კვირას, 16 ამ თვეს, სოფელ კვათახეში, წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**მამანტი ცომაიას**

სულის მოსახსენებლად. (1—1)

---

რეზო ჯაბადარი და ირაკლი ბილანიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას მეგობრის და სახალხო გვარდიელის

**კოტე ბილანიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 16 თებერვალს, ს. პატარძეულში (2—1)

---

ბილანიშვილების გვარეულობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ სომხებთან ომში დაავადმყოფებული, თფილისის საავადმყოფოში გარდაიცვალა 12 თებერვალს მათთვის ძვირფასი სახალხო გვარდიელი

**კოტე გიორგის-ძე ბილანიშვილი**

დაკრძალვა მოხდება 16 თებ. სოფ. პატარძეულში. (2—1)

---

უნუგეშოთ მყოფნი და მწუხარებით გულ დამწვარნი: მარიამ, ქეთევან, საშა, ვალოდია და კოლია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 16 თებერვალს, 11 საათზე წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელი მეუღლის, ხოლო დანარჩენთა ძვირფასი მამის

**ივანე გაბრიელის-ძის ბურბენიძის**

სულის მოსახსენებლად. მისამართი, ჩერქეზიშვილის ქ. № 16 (1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ფუშტევან; შვილები: ამბროსი, ვლადიმერი, ნადეჟდა და ანეტა; ძმა ტარასი, და ოლინკა; სიძეები: ექვთიმე ახათიანი და სილიბისტრო სვანიძე; რძალი რუსტანი; ძმის შვილები: თამარა, მარუსა, აგრაფინა, ელისაბარი, ნინო და მარგალიტა გველესიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ 13 თებერვალს, ქ. თფილისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი

**ბებოლარ იოსების-ძე გველესიანი**

---

სამშაბათს, 18 თებერვალს ქ. ხაშურში, ივანე ნათლის მცემლის ეკლესიაში, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვლებულის

**ელიჩკას**

სულის მოსახსენებლათ, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედ-მამა: დარია ანდრიევის ასული და ისიდორე ივანეს ძე, და ალექსანდრა ისიდორეს ასული, ძმები: ივანე და სერგო ისიდორეს ძე ნიქაბაძეები. პანაშვიდი იქნება გადახდილი დღის 12 საათზე. (1—1)

---

ღრმად დამწუხრებული მამა გიორგი, დები: ეკატერინე, სოფიო, სიძე ვასილი ი, მეველდორაშვილი, ძმები ლადო, შაქრო, ძმისწულები: ივანე, ირაკლი და ქეთინო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ სახალხო გვარდიელის იერის რაიონისას,

**კოტე გიორგის ძე ბილანიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება თფილისიდან ს. პატარძეულში 15 თებერვალს. დაკრძალვა მოხდება ხსენებულ სოფელში ორშაბათს 17 თებერვალს. (1—1)

---

ეშმაკი და თავუნა
„ახირებული"
გამოვიდა რვეული П.
საწყობი „ერთობის" კანტორაში.

## ორი მოვალეობა

მძიმე დროში ვცხოვრობთ, დიდი განსაცდელი გვადგია კარზე, დიდი მოვალეობა გვაწევს თავზე.

შინ არჩევნები გვაქვს, რომელმაც უნდა ჩვენი ნამუშევარს, ჩვენს ნამოღვაწევს დასკვნა გაუკეთოს, გვირგვინი დაადგას, ხალხის პირით დასტური დასცეს და მომავალი მოქმედებისათვის გზა უჩვენოს.

გარედან მტერი გვადგია, რომელსაც ჩვენი შედარებით მყუდრო ცხოვრება შეშურდა, ჩვენი დემოკრატიის ენერგიული მოქმედება სძულს და საქართველოს გასრესას ლამობს.

და ამის მიხედვით ორი დიდი საქმე დაგვაწვა თავზე. უნდა შინაც გავმაგრდეთ და გარეშე მტერსაც ანგარიში გაუწიოთ.

არასოდეს არ ყოფილა ასეთი კრიტიკული მდგომარეობა. სოჭის ოლქიდან აფხაზეთის მხრით მოხალისეთა რაზმები მოგვაწვნენ, ახალციხიდან მუსულმანთა ბრბოები შემოგვესივნენ.

მათ უნდათ საქართველო დაჰკუწონ, დაამქუცმაცონ, გასძარცონ ერთი აქეთ გამოჰქრება ქუთაისის გუბერნიას, მეორე ჩვენს დედა ქალაქს თფილისს. ორი მხრით მოგვადგა მუხანათი მტერი.

თქვენ იცით, რომ ჩვენი მთავრობა ყველასთან მეგობრობის ხელის გამწვდენი იყო. მაგრამ შავ ძალებს მეგობრობის გაწევა არ შეუძლიათ.

ბნელეთის მოციქულებს ხალხის სისხლი სწყურიათ, მათ ჩაღრჩობა განუზრახავთ. საქართველოს გვარდია უკვე ფეხზე დგება და ბრძოლის ველზე მიეშურება. იგი უკვე იარაღში ზის და თავის მოქალაქეობრივ მოვალეობასთან ერთად თავის სისხლის ბედსაც იხდის, მტერს გულმკერდით წინ ეგებება.

ჩვენზე მოსულ მტერს პირველი ის ეგებება. პირველ ლახვარს იგი შეახვედრებს.

თქვენ სადღა ხართ ახალგაზრდებო, ომში გამოცდილნო, ბრძოლას შეჩვეულნო, ხალხის შვილებო!

დღეს თქვენი მარჯვენა სჭირია სამშობლო ქვეყანას. დღეს თქვენი გამბედაობა სჭირია საქართველოს და მის დემოკრატიას.

იცით თქვენ რა მტერი მოდის? სომხების შემოსევას მიზნათ ჰქონდა თფილისის წართმევა.

თათრის ბეგებს და დენიკინის შავ რაზმელებს მიზნათ აქვთ მიწების თავადებისთვის დაბრუნება.

სომხებთან ბრძოლაში თქვენ გმირები იყავით, ახლა შავ-ბნელ მტერთან ერთი-ორათ უნდა შეუპოვარი აღმოჩნდეთ.

თქვენ დღეს ირჩევთ დამფუძნებელ კრების წევრებს, გინდათ საქართველო დაამკვიდროთ, მისი მიწის კანონები დაადასტუროთ, ხალხის ბედნიერებაზე ზრუნვა ყველა სახელმწიფოს მთავარ მოვალეობათ გახადოთ. ეს ახალციხის ბეგები და დენიკინის ბნელი ძალები მოდიან, რომ დამფუძნებელი კრება ჩაგიფუშონ, თქვენი თავისუფლება დაამხონ, თქვენი ცოლშვილი ულუკმა პუროთ დასტოვონ.

თქვენ დღეს ბიულეტენით გამოსთქვამთ თავენ სურვილს, და მას თქვენი წარმომადგენლები შეისმენენ, აასრულებენ.

მაგრამ ხვალ მოვლენ თქვენი მტრები და ყოველივეს გაგიქარწყლებენ, თუ ამოწვდილ მახვილს ტყვიას არ მიაგებებთ.

თქვენ იცით, რომ ჩვენი მთავრობა ტყუილათ არ ღვრის თავის ხალხის სისხლს. ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ ვინც თავს გვესხმის და ყელის გამოჭრას გვიპირებს, მას უნდა საკადრისი პასუხი გავსცეთ. ვინც დღეს ხმას აძლევს, ის შინ თავის მოვალეობას პირნათლათ ასრულებს, ვინც ხვალ თავის სიტყვას ხმლით არ გაამაგრებს, ის თავის სილაჩრეს, მუხთლობას დაამტკიცებს. ჯარისკაცნო, გამოდით ბრძოლის ველზე, დანარჩენნი მათ ამოუდექით გვერდში და დაეხმარეთ, ბრძოლა გაუადვილეთ.

დღეს უკანასკნელი, უსაშინელესი საფრთხე მოგვადგა კარს. დამფუძნებელი კრება ვერ იარსებებს, თუ ხელში ძლიერი ხმალი არ გვექნა. და ვინც ხმლის ტარებაში გამოწვრთნილია და ის დაუყონებლივ უნდა ჩადგეს მებრძოლთა რაზმებში, ამით ერთხელ კიდევ დაუმტკიცონ ქვეყანას, რომ რევოლიუციური ხალხი, რომელსაც შესწევს უნარი თავის ქვეყნის მოწყობისა, შესძლებს იარაღით დაიცვას ის, რაც რევოლიუციით მოიპოვებია. ვინც დღეს მოდის საარჩევნო ყუთთან, ის ირჩევს დამფუძნებელ კრებას, ვინც დღეგამოდის იარაღით მტრის მოსაგერიებლათ, ის იცავს დამფუძნებელ კრებას. ის დამფუძნებელი კრების გვარდიაა, ის ხალხის ნების გამამტკიცებელია, ის ხალხის ერთგული მსახური და ღირსეული შვილია.

ჩვენ ველით საქართველოს დემოკრატიისაგან ორივე მოვალეობის ასრულებას. დღეს საარჩევნო ყუთთან, ხვალ იარაღით მტრის დასახვედრათ. ამას მოითხოვს ქვეყანა თქვენგან.

## პრესა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სომხის ელემენტების გამოსვლა სოჭის ოლქში დენიკინის ჯარებთან ერთათ სამწუხაროა. „მშაკს" ალია ცნობები მთავრობის და რადგან იქ მოხსენებულია სომხების ასეთი მოქმედება, სურს ამით სომხის ერის წინააღმდეგ აგიტაცია დასწამოს საქართველოს მთავრობას. „მშაკი" სწერს:

„საქართველოს მთავრობის ცნობები ბრძოლის ველიდან გამსჭვალულია ერთი ცუდი ჩვეულებით, რაც ემსახურება ეროვნული შუღლის გაღვივებას, განსაკუთრებით სომხების წინააღმდეგ, რომლებიც ვითომ მომხრენი არიან მოხალისეთა ჯარებისა და ებრძოდენ ქართველ ჯარებს.

„უნდა ვიცოდეთ, რომ დენიკინს მიზნათ აქვს „შეაერთოს მთელი რუსეთი" და განსხვავებას არ სდებს რუსეთის მოქალაქენის შუა. ის იყვანს თავის ჯარებში ყველას და მოსთხოვს ერთნაირათ დაქვემდებარებას. უნდა ითქვას ისიც, სომხების სასიქადულოთ, რომ ჩრდილოეთის სომეხ ლტოლვილებს ყველას უარი უთქვამთ რუსეთის სამოქალაქო ბრძოლებში ჩარევაზე, რის გამო ბოლშევიკებმა არმავირის სომხების ჟლეტა გამართეს წარსული წლის ივლისის თვეში. მაგრამ არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ სომეხს არ ჰქონდეს თავისი საკუთარი რწმენა, ამის გამო ზოგი სომეხი შედის ბოლშევიკების, ზოგი დენიკინის ჯარებში. დენიკინის ჯარებში ძალიან ცოტანი არიან სომხები. ეხლა დენიკინს დაუწყია სამხედრო მოქმედება სოჭის ოლქში, სადაც ცხოვრობენ მრავალი სომხები. და საკვირველი არ არის, რომ დენიკინის ჯარებში შესული იყვნენ სომხები, რასაც ხელს შეუწყობდა ქართველ მთავრობის ეროვნული განსხვავების პოლიტიკა. სოჭის ოლქში სომხებს არ შეეძლოთ ნეიტრალურათ დარჩენილიყვნენ, მაგრამ, ამიტომ ნუ თუ გამოდის ის, რომ საქართველოს მთავრობის ოფიციალური ცნობებმა ურჩევლათ უნდა მიიჯღონ სომხები. ეს არ ემსგავსება რუსეთის იმ განთქმულ ცნობებს და სასამართლოს საქმეებს, რაც უეჭველათ მოიხსენიება ებრაელების ვერაგული მონაწილეობის ან „უცხო ტომის" დანაშაული პროპაგანდა"?

გაზრახებულ გაზეთს, რომელიც მაგარი სიტყვებით ცდილობს თავის ნამდვილი ზრახვების დაფარვას, უნდა მოვახსენოთ შემდეგი:

პირველი: გაზეთს არ მოჰყავს ფაქტები სწორათ. მთავრობის ცნობები ამბობენ არა იმ სომხებზე, რომელიც დენიკინის ჯარში მსახურობდნენ თავის რწმენის გამო, არამედ იმ მცხოვრებლებზე, რომელნიც სოჭის დანარჩენი დემოკრატიისაგან გამოითიშნენ, მათ წინააღმდეგ წავიდნენ და დენიკინის ჯარს მიემხრნენ. სოჭის ოლქში გარდა სომხებისა ცხოვრობენ, რუსები, ბერძნები და სხვ. ყველა ერის დემოკრატია განურჩევლათ ემხრობოდა ჩვენს ჯარს, და ჩვენი რესპუბლიკის ჯარის იქ დარჩენას. სომხის მცხოვრებლებმა კი არჩიეს რეაქციონური დენიკინის ჯარი. ნუ თუ ამის გამართლება არ ნიშნავს რეაქციონური ნაბიჯის გამართლებას? ნუ თუ დენიკინის ჯარის მიმხრობაში ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან არ არის დამამტკიცებელი მათი რეაქციონური სულისკვეთების?

გაზეთი კი ასე გაიძახის: „სოჭის ოლქში სომხებს არ შეეძლოთ ნეიტრალური დარჩენილიყვნენ". კეთილი, მაგრამ არა ნეიტრალურათ ... დანარჩენი ერის დემოკრატიისგან გამოთიშვას და შავ ძალებთან მიმხრობას. ამართლებთ თქვენ, ბატონებო, ამას და ასეთ საქციელის წაბაძვას ურჩევთ სომხის დემოკრატიას სხვაგანაც? აი ამაზე უნდა გაგვცეთ პასუხი.

სოჭში თქვენ მათ რწმენას ამართლებთ, თქვენი წერილით და ამტყუნებთ ჩვენს მთავრობას. ამათ გინდათ დაამტკიცოთ იქაური სომხების შავ-რაზმული ნაბიჯები. და ესაა თქვენი დემოკრატობა და სოციალისტობა?

ჩვენს მთავრობას ამით სომხის ხალხისათვის არ მოუხვევია ბრალი. ჩვენმა გაზეთმა აღნიშნა კიდეც ხაზგასმით, რომ ეს ეხება მხოლოდ სოჭის გზადაბნეულ სომხებს და მათ სულისჩამდგმელთ. და არა სომხის დემოკრატიას. და თუ ამის შემდეგ „მშაკი" მაინც მთავრობას ესხმის თავს იმის მაგიერ, რომ სომხის დემოკრატიას უჩვენოს გზა სწორი დემოკრატიული მოქმედებისა და დენიკინის რაზმის გარჩევა, ასწავლოს დემოკრატიულ მთავრობისაგან—ჩვენ გეკითხებით, ვის ან რას ემსახურება ეს გაზეთი და მასში თავმოყრილი სოციალისტები?

სირცხვილი მათს „ინტერნაციონალისტობას!" საქართველოს მთავრობას კი მათი დაუნდობელი შხამით ჩირქი არ მოეცხება, მაგრამ სომხის დემოკრატია, რომელიც მათ დაუჯერებს, დიდიხნით გააფუჭებს დემოკრატიის საერთო საქმეს.

## დამფუძნებელი კრების გარშემო

**ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა შორის.**

12 თებერვალს, დილის 6 საათზე ტრამვაის პარკში მოხდა საზოგადო კრება თფილისის ქალაქის ტრამვაის მოსამსახურეებისა. გაირჩა დენიკინის ჯარების გამოლაშქრება ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ და აგრეთვე განხილულ იქნა მომავალი დამფუძნებელი კრების არჩევნები. კრებას დაესწრო 1000 მდე კაცი. თავმჯდომარეობდა შევჩუკი. მოხსენებლათ გამოვიდა ამხ. ლომთათიძე, რომელმაც გააცნო კრებას მდგომარეობა სოჭის ოლქის, ახალციხის მაზრაში მომხდარი ამბები, ბათუმის მდგომარეობა და მომავალი დამფუძნებელი კრების არჩევნები, კრებამ, მოისმინა და განიხილა რა მოხსენება, გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი.

1) ვღებთ რა მხედველობაში, რომ დენიკინის ჯარების გამოლაშქრება ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, ეს არის შავი რეაქციის

# დღეს

სამხედრო შტაბის ცნობით ჩვენმა ჯარმა დასტოვა ახალციხე იმ მოსაზრებით, რომ აჯანყებულთ ზურგიდან გზა არ გადაეჭრათ.

საქართველოში მობილიზაცია გამოცხადდა. ჯარში იწვევენ: 24, 25, 26 და 27 წლიანებს.

საქართველოს ახლანდელი პოლიტიკური ვითარების გამო პარლამენტის პრეზიდიუმი 18 თებერვლისთვის იწვევს პარლამენტის საგანგებო სხდომას.

ის გვარდიელნი, რომელნიც ამ ჟამად ფრონტზე იმყოფებიან, დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ დამატებითი არჩევნების დროს.

— —

გერმანიაში შეიპყრეს ცნობილი ბოლშევიკი რადეკი, რომელიც სპარტაკელებთან ერთად აჯანყებას აწყობდა აჯანყების დროს სპარტაკელებს უნდა მიშველებოდენ რუსი ბოლშევიკები.

მოკავშირე სახელმწიფოებს დიდათ აფიქრებს ის გარემოება, რომ გერმანია არ ახდენს ჯარის დემობილიზაციას იმ დროს, როცა მოკავშირეთა სახელმწიფოებში დემობილიზაცია საჩქაროდ ხდება.

ახალი დროებითი ზავის პირობები გერმანიასთან უმაღლესმა სამხედრო საბჭომ უკვე შეიმუშავა და მისი სისრულეში მოყვანა მიანდო მარშალ ფოშს.

ბოლშევიკებმა მემარცხენე ესერების შეთქმულება აღმოაჩინეს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. შეთქმულების მთავარი ხელმძღვანელნი და მათ შორის სპირიდონოვას ქალი შეიპყრეს.

---

თავდასხმა ჩვენ რესპუბლიკის დემოკრატიულ წყობილების მოსასპობათ. კრება აცხადებს, რომ ის მზათ არის ყოველთვის დაიცვას რესპუბლიკა და მისი რევოლიუციის მონაპოვარნი და ერთსულოვნად წინაღუდგება დენიკინის ჯარს.

2) მოეთხოვოს მთავრობას, გამოარკვიოს რა შეხედულებისა არის მოკავშირეთა მთავარ სარდლობა მომხდარი ამბების შესახებ და შეუძლიან თუ არა დემოკრატიას დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ოფიციალური განცხადება დიდი ბრიტანეთის, რომ ის სიმპატიით უყურებს საქართველოს დამოუკიდებლობას, არ დარჩება მარტო სიტყვათ—არამედ საქმედაც იქცევა. მომხდარი ამბების მიზანია ჩაშალონ დამფუძნებელი კრების მოწვევა. კრება მოუწოდებს მთელ დემოკრატიას თავის ერთსულოვანი მონაწილეობით გამარჯვება მიანიჭოს ნამდვილ დემოკრატიულ ელემენტებს!

—

ოქმის შედგენის წესები. როგორ უნდა შეადგინონ ოქმი მთავარ საქალაქო და საუბნო კომისიებმა.

I

მთავარ საქალაქომ: 1) მთავარ კომისიის შემადგენლობა (გვარი და სახელი); 2) პარტიული შემადგენლობა; 3) როდის დაიწყო მუშაობა ხმების საბოლოოდ დასათვლელად; 4) რომელი საუბნო კომისიის ოქმი განიხილა; 5) რომელი საუბნო კომისიის ოქმში დაამტკიცა მთლიანად; 6) რომელ საუბნო კომისიის ოქმში შეიტანა ცვლილება ან რა ცვლილება და რად; 7) რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა სიამ უბანში; 8) რამდენი მიიღო თითოეულმა სიამ მთელ ქალაქში; 9) რამდენი ხმა იქნა კანონიერად ცნობილი მთელს ქალაქში; 10) რამდენი ხმა იქნა გაბათილებული და რად; 11) რამდენი ხმა იქნა ცნობილი კანონიერად და რამდენი გაბათილდა ხმის უმრავლესობით; 12) ყველა ერთხმად გაბათილებული ბიულეტენები ან ხმის უმეტესობით კანონიერად ცნობილი და გაბათილებული გადმოგზავნილ უნდა იქნას ცენტრალურ კომისიაში; 13) რამდენი იყო ამომრჩეველი მთელ ქალაქში და რამდენმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა.

II

ქალაქის საუბნო კომისიამ: 1) რომელი უბნის კომისია; 2) კომისიის შემადგენლობა (გვარი და სახელი); 3) პარტიული შემადგენლობა; 4) როდის გაიხსნა კრება 14, 15 და 16 თებერვალს; 5) შეამოწმა თუ არა კომისიამ საარჩევნო ყუთის სიცარიელე და მთლიანობა; 6) იყო თუ არა შენობა ღია დილის ცხრა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე; 7) რამდენი ამომრჩეველი იყო შეტანილი საარჩევნო სიაში; 8) ჩამოერთვა, თუ არა ვინმეს ხმის მიცემის უფლება და თუ ჩამოერთვა ვის, რად; 9) მიიღო თუ არა არჩევნებში მონაწილეობა ისეთმა პირმა ვინც შეტანილი არ იყო სიაში და, თუ მიიღო, რა საბუთით; 10) რამდენმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში; 11) რამდენი კონვერტი იყო მიცემული; 12) ეთანხმება თუ არა კონვერტის რიცხვი ხმის მიმცემთ რაოდენობას და, თუ არა რა მიზეზით; 13) იბეჭდებოდა თუ არა ღამით 14 და 15 თებერვალს საარჩევნო ყუთი და შენობის კარები; 14) ამოწმებდა თუ არა კომისია ბეჭდის მთლიანობას ყუთზე და კარებზე 15 და 16 თებერვალს დილით და, თუ რამე ცვლილება ნახა ბეჭედზე, რა და როგორი; 15) ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის რაიმე საწინააღმდეგო მოვლენას და, თუ იყო ასეთი, რამ სახელდობრ (იხილეთ დებულების სათანადო მუხლები); 16) ვინ ხსნიდა კონვერტს; 17) ვინ სთვლიდა ხმებს; 18) რამდენი ხმა იყო მიცემული საზოგადოთ; 19) რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა საკანდიდატო სიამ ცალკე; 20) რამდენი ბიულეტენი იყო უვარგისი და რა მიზეზით; 21) თითოეულ სიის მიღებული ბიულეტენები უნდა ჩაიწყოს ცალ ცალკე კონვერტში ან შეიკრას ბაწრით და გადაიგზავნოს მთავარ საქალაქო კომისიაში. ზევიდან ნაჩვენები უნდა იყოს ნომერი სიისა და მიღებულ ხმათა რაოდენობა, აგრეთვე გაბათილებულ და საეჭვოთ ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა. 22) ბიულეტენების გასაბათილებელ მიზეზათ არ უნდა ჩაითვალოს სხვა და სხვაობა ქაღალდის ფერისა და ფორმატისა. ამასთანავე გაცნობებთ: 1) კონვერტები უნდა მიეცეთ ამომრჩეველთ არჩევნების დღეს საარჩევნო შენობაში. 2) საარჩევნო შენობაში უნდა იყვეს ყველა პარტიების ბიულეტენების მცირე რიცხვი მაინც. 3) თუ ბიულეტენები შემოგაკლდათ, უნდა მისცეთ ამომრჩეველთ სუფთა საწერი ქაღალდი მე 16-დი საკანდიდატო სიის ნომრის დასაწერად.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე.

---

მოქალაქენო!

ნაციონალისტები მუდამ ომის გაჩაღებას ელტვიან. მათ ხალხის სისხლი არ ენანებათ. სოციალდემოკრატია მშვიდობიანობის მოტრფიალეა. სოციალდემოკრატიამ შესძლო სომხეთთან ომის დროზე დაბოლოვება.

ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

14 თებერვალი

ინგლისის პრესის ცნობები.

საფრანგეთში ეხლა ხალხთა ლიგის შექმნაზე იმდენს არ მსჯელობენ, რამდენსაც დროებითი ზავის განახლების შესახებ. საფრანგეთის პრესას სახიფათოდ მიაჩნია შეთანხმების ჯართა დემობილიზაცია მაშინ, როცა გერმანიაში ჯერ კიდევ რამდენიმე მილიონი კაცი თოფ ქვეშ სდგას. ინგლისის აზრით დროებითი ზავის განახლების და საზავო ხელშეკრულების დადების მთავარი მიზანი არის: ევროპის განთავისუფლება მილიტარიზმისაგან. პირველათ უნდა განადგურდეს მილიტარიზმი გერმანიაში. არის ასეთი წინადადება: ეხლავე შეამცირონ გერმანიის ჯარი მშვიდობიან დროის რაოდენობამდე, რათა მოკავშირეებს შეძლება მიეცეთ უფრო სწრაფათ მოახდინონ თავისი ჯარის დემობილიზაცია. ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების აზრით, ეხლა მოსალოდნელი არ არის, რომ გერმანიამ სამხედრო მოქმედება განაახლოს. პირიქით, ფრანგული პრესა, თუმცა აღიარებს, გერმანია ერთობ მძიმე პირობებში იმყოფება, მაგრამ აღნიშნავს ეროვნულ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვების ტონს, რომელიც მოწმობს, რომ სიფათი მოსალოდნელია.

სამხედრო კომისიაში საფრანგეთმა წარადგინა პროექტი, რომელიც შეიცავს წინადადებას შექნას დიდი საერთაშორისო კავშირი ხალხთა ლიგის წევრ ქვეყნებისაგან. ამ კავშირის ყოველი წევრი მოვალე იქნება გაგზავნოს ჯარი ლიგის იმ წევრის დასახმარებლად, რომელსაც ესა თუ ის სახელმწიფო თავს დაესხმება. ფიქრობენ, რომ ამერიკა ამ პროექტის წინააღმდეგი არ იქნება.

ბოლშევიკების ცნობები

მოსკოვი. 13 თებ. აღმოაჩინეს ესერების ახალი შეთქმულობა. უკანასკნელ ხანებში ჩრდილოეთის მემარცხენე ესერების საოლქო და პეტერბურგის კომიტეტიავრცელებდა ლიტერატურას. ვილენსკში სცემდა გაზ. „ნაშ პუტ“-ს და აგიტაციას ეწეოდა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ც. კომიტეტმა დააპატიმრა მემარცხენე ესერების თვალსაჩინო წევრი სპირიდონოვა, რომლის საქმე გადეცა ტრიბუნალს, შტეინბერგი—ყოფილი იუსტიციის კომისარი, ტრუტოვსკი, რიბინი, პროკოპენკო, როზენბლიუმი, სიროტა, კრონიკი და სხვები. ამათი საქმეც მალე გადაეცემა ტრიბუნალს, დაპატიმრებულნი სპირიდონოვას ქალის გარდა, რომელიც კრემლში ზის, ბუტირის ციხეში სხედან. გუშინ აღმოაჩინეს მოსკოვში კონსპირატიული ბინა, რომელიც კრონიკს ეჭირა. ბინაზე ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს არალეგალური სტამბა და კრემლის კომენდატის ყალბი ბეჭედი.

ფრანგული პრესის ცნობები

პრესაში მოთავსებულია შემდეგი ცნობები იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღო უმაღლესმა სამხედრო საბჭომ დროებითი ზავის პირობების განახლების გამო: 1) მარშალი ფოში წინადადებას მისცემს გერმანიას აასრულოს წინანდელი პირობები. გერმანელები ცდილობდენ დაეგვიანებიათ დროებით ზავის პირობების შესრულება, ამ შემთხვევაში კი მას ამის ნებას არ მისცემენ. გარდა ამისა, გერმანელებს ეკრძალება პოლონეთის წინააღმდეგ მოქმედება. გერმანიამ უნდა დააბანაკოს ჯარი მხოლოდ აღნიშნულ ხაზის აქეთ. 2) დროებითი ზავს განაახლებენ მხოლოდ მოკლე დროით და მასთან ერთად მოკავშირეთ უფლება აქვთ შეწყვიტონ დროებითი ზავი, რომ ამით აიძულონ გერმანელები დააჩქარონ პირობების ასრულება. 3) როცა გაეცნობიან თავიანთ ტეხნიკურ დელეგატების გამოკვლევებს, მოკავშირეთა მთავრობები ახალ პირობებს წარუდგენენ გერმანიას, რომელიც მან უნდა მიიღოს დიდი ხნით,—შესაძლოა ზავის შეკვრამდე. ეს პირობები ისეთი იქნება, რომ გერმანია მშვიდობიანობას მომავალში ვეღარ დაარღვევს.

მთავრობის საბჭოს თავმჯდომარემ გუშინ მიიღო მარშალი ფოში, მარშალი პეტენი და გენერალი ვეილანდი. მათ ითათბირეს დროებით ზავის ახალ პირობებზე, რომელსაც გერმანიას წარუდგენენ.

გერმანული პრესის ცნობები.

დაპატიმრებული რადეკი ჩამოიყვანეს ავტომობილით, რომელზედაც ტყვიის მფრქვევლები დადგეს იმ შემთხვევისთვის, თუ ბრბო დაესხმოდა. რადეკი ჯერ სამხედრო უწყებას ჩააბარეს, შემდეგ კი ციხეში მოათავსეს.

იმ პარტიების საერთო პროგრამის შესახებ, რომელთაგანაც შესდგა მთავრობა „ფორვერტსი“ სწერს, რომ პროგრამა დასრულებული არ არის ჯერ, მაგრამ საერთოდ შემდეგში გამოიხატება: გერმანიის ეროვნულ ყრილობის სუვერენულ უფლებათა აღიარება; სახელმწიფოს განმტკიცება ძალა უფლების ცენტრალიზაციით, მმართველობის სრული დემოკრატიზაცია, დემოკრატიულ საფუძვლებზე სახალხო არმიის შექმნა და მასში საბჭოების დატოვება ისეთი სახით, რომ ჯარმა დისციპლინის და მოვალეობის ასრულების უნარი არ დაკარგოს. მეურნეობის წარმოების დატოვება ძველი სახით, ვიდრე შრომის მოთხოვნილება და წინადადება არ გაუწორდება ერთმანეთს, განსაკუთრებით სასურსათო სფეროში. ენერგიული მუშაობა მიმოსვლის და ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენათ, სოციალიზაციის აღიარება იმ სახით, როგორც ეს ებერტმა განსაზღვრა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში. ისეთი სოციალური პირობების შექმნა, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება: მუშაობა, უმუშევართა დასახიჩრებულ მეომართა უფლებები. ზავის შეკვრა რაც შეიძლება მოკლე ხანში, ხალხთა ლიგის შექმნა, ახალშენების დაბრუნება და სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნება.

თავისთავად ცხადია, რომ პროგრამის საფუძვლად უდება ძირითადი დემოკრატიული საფუძვლები: სიტყვის, პრესის, სინდისის, კრების, კავშირის თავისუფლება და საყოველთაო თანასწორი საარჩევნო უფლება.

---

მოქალაქენო!

დაშნაკცუტიუნის პარტია ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას და მით ძირს უთხრის რევოლიუციას.

არც ერთი ხმა დაშნაკცუტიუნის პარტიას

ყველა ხმა რევოლიუციისა და დემოკრატიის მეხვეურს სოციალდემოკრატიულ პარტიას № 1.

---

# სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისაგან

ამხანაგებო მუშებო, გლეხებო და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო!

კიდევ ომი, კიდევ ადამიანის სისხლის ღვრა?

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდანვე თავისი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და გულწრფელად სურდა ყველა ერებთან მშვიდობიანათ და თანხმობით ცხოვრება, იძულებულია ხელ-ახლა ხმალს მოჰკიდოს ხელი!

საქართველოს დემოკრატია, როგორც ერთი კაცი, იარაღს ისხავს და ისწრაფვის სამშობლოს და თავისუფლების დასაცავად ვერაგი მტრებისაგან.

თავისუფლების მოყვარე საქართველოს არც კი დაუმთავრებია ჯერ ერევნის მთავრობის ავანტიურის ლიკვიდაცია, რომ ამხედრდენ მის წინააღმდეგ ახალი მტრები!

ახალციხის მაზრაში აჯანყების დროშა ააფრიალეს ოსმალთა გენერლებმა და ბეგებმა. ამით მათ სურთ განახორციელონ დიდი ხნის ოცნება, რომ ხელში შერჩეთ მიწა, რომ ეს მიწები არ ხვდეს მშრომელ კლასს.

სოჩის ოლქში კი, რომელსაც განაგებს საქართველოს ამ ოლქისვე დემოკრატიის მიწვევით, მოხალისეთა ჯარი შავ გენერალ დენიკინისა ადგილობრივ რეაქციონერებთან ერთად ვერაგულათ თავს დაესხა საქართველოს ჯარს.

პატარა საქართველო იძულებულია იბრძოლოს ორ ფრონტზე და ეს განგებ შეუფარდეს მისმა მტრებმა იმ დროს, როცა დამფუძნებელი კრების არჩევნებმა უნდა ჩაუყაროს საძირკველი დემოკრატიულ წყობილებას.

თავისუფლების და რევოლიუციის აუარებელი მტრები თავს დასჩხავიან სხვადასხვა მხრიდან საქართველოს, რომ დაჰფლითონ თავისუფლების მოყვარე საქართველო და სისხლიდან დასცალონ მისი სხეული.

ბრძოლის ველზე უკვე იღვრება სისხლი!

ერთმანეთს ებრძვიან სინათლე და წყვდიადი, თავისუფლება და მონობა, სიყვარული და სიძულვილი...

მტრის ბანაკში რეაქციონერები და შავრაზმელები არავითარ მოქმედებას არ ერიდებიან. საქართველოს დემოკრატიის წითელი დროშის ქვეშ კი თავს იყრიან ყველანი განურჩევლად ეროვნებისა, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება და რევოლიუცია!

თავისუფლება საფრთხეშია!

ყველამ იარაღს მოჰკიდით ხელი, ყველანი დაირაზმენით წმინდა საქმის დასაცავად!

უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე გაბახება და მონობა!

იმათ კი, ვისაც არ ძალუძს თოფის დადგომა, დეე იმუშაონ შეუსვენებლათ მებრძოლთა ზურგის გასამაგრებლათ, იმ მუშებისა და გლეხების დასახმარებლათ, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე მიაქვთ თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის.

სიკვდილი შავ რეაქციას!

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

მთავარი შტაბი.

—

შეწირულება იმ სახალხო გვარდიელთა სასარგებლოთ, რომელნიც ფრონტზე იბრძვიან მიიღება: (ფულად, სურსათით ან ნივთებით) სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში დილის 10 ს—დან ნაშუადღევს 2 ს—მდე სასახლეში, შუა შესასვლელი კარებიდან. შემომწირველთ მიეცემა შტაბის კანცელარიის მმართველის მიერ ქვიტანცია და გვარებიც გამოცხადებული იქნება გაზეთებში.

---

# ახალი ამბები

ახალციხის მაზრაში სამხედრო შტაბის ცნობით 11 თებერვალს ასკერთა და აჯანყებულ მცხოვრებთა დიდი ძალების იერიშის შემდეგ, ჩვენ ჯარი, რომ მას გზა არ მოსჭროდა უკან ზურგში ამბოხებულ მუსულმან მცხოვრებთა მიერ, იძულებული გახდა უკან დაეხია. ქალაქი ახალციხე მოწინააღმდეგემ დაიკავა.

◆ მობილიზაცია. მთავრობის დადგენილებით მობილიზაცია გამოცხადდა თფილისის გუბერნიაში. ჯარში იწვევენ 24, 25, 26 და 27 წლიანებს. ქუთაისის გუბერნიაში გამოცხადებულია დამატებითი მობილიზაცია 24 და 25 წლიანებისა.

◆ პარლამენტის მოწვევა. საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმი აუწყებს პარლამენტის წევრთ, რომ საშაბათს, ამა თებერვლის 18-ს დანიშნულია საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომა და სთხოვს დეპუტატებს უსათუოდ დაესწრან ამ სხდომას. დღის წესრიგში არის: საქართველოს ახლანდელი პოლიტიკური ვითარება. კრება გაიხსნება შუადღის 12 საათზე, ქალაქის საბჭოს სხდომის დარბაზში.

◆ სახალხო გვარდია და არჩევნები. ცენტრალური საარჩევნო კომისიამ შემდეგი აცნობა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს: „გაცნობებთ, რომ დამფუძნებელი კრების ცენტრალური კომისიის დადგენილებით ფრონტზე წასული გვარდიელები არა ჰკარგავენ საარჩევნო უფლებას და მონაწილეობას მიიღებენ მაშინ, როდესაც მოხდება დამატებითი არჩევნები რესპუბლიკის იმ ნაწილებში, სადაც სხვადასხვა მიზეზების გამო ეხლა არჩევნები არ ხდება. გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ მათი ხმებით არავინ ისარგებლოს დღევანდელ არჩევნებში. გაწვეულ გვარდიელთა დამატებითი სიების ჩვენთვის გამოგზავნა გთხოვთ განაგრძოთ“.

◆ ზუგდიდის საქალაქო არჩევნები. ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: ზუგდიდის საქალაქო არჩევნები დანიშნული იყო 9 თებერვლისთვის, მაგრამ საბჭოს დადგენილება გადაიდო და მოხდება დამფუძნებელი კრების არჩევნების დამთავრების შემდეგ. გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებული ცნობა კი, თითქოს არჩევნებში გაიმარჯვეს ნაციონალ დემოკრატებს, სიმართლეს არ შეესაბამება.

◆ ავადმყოფობა რაჭაში. ონიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: რაჭაში გახშირებულია გადამდები ავადმყოფობა. უექიმობით, უწამლოთ ბევრი კვდება. დარიგება—დახმარება—ყურადღების მომცემი არავინ არის, საჭიროა არის ენერგიული ზომები, თორემ ხალხი ნივთიერად განადგურდა, სულიერათ ტანჯვის გამყრელია.

◆ ვახილ კირვალიძე ონიდან დეპეშით გვთხოვს გამოვაცხადოთ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ მას ევგენი დვალისთან და შოთა რუსთაველის პარტიასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

◆ ქალაქ ხონის განახლებული საბჭო მიესალმება ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვამს მას ენერგიულ დახმარებას ყოველგვარ მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებში, რომლებიც მიმართული იქნება დემოკრატიულ საქართველოს საკეთილდღეოთ. საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჭავჭავაძე, მდივანი რაჟდენ წივწივაძე.

◆ იურიდიულ საზოგადოებაში. 20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სასამართლო პალატის შენობაში შესდგება იურიდიულ საზოგადოების კრება. დღის წესრიგში შემდეგი კითხვებია: 1) მომრიგებელ მოსამართლეთა კომპეტენციის გაფართოების საკითხი. მომხსენებელია დ. ბ. კვირიკელია; 2) სასამართლოს გაქართულება; 3) იურიდიულ ორგანოს გამოცემა; 4) რეფერატების მოწყობა 5) საბჭოს ახალი წევრების არჩევა და სხვა მიმდინარე საკითხები.

კრებები

კვირას, 16 თებერვალს, შუადღის 12 საათზე შესდგება პარლამენტის სოციალდემოკრატიული ფრაქციის წევრთა კრება.

---

მოქალაქენო!

ომიანობის ხანაში თითქმის მთელი ქვეყანა დაიმშა. კერძოთ რუსეთში შიმშილმა დიდძალი ხალხი იმსხვერპლა სოციალდემოკრატიამ იხსნა საქართველოს მცხოვრებნი დამშევისაგან.

ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.

---

# მუშათა დეპუტატ. საბჭოში

(დასასრული).

სიტყვა ეძლევა სხდომაზე მოსულ მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, რომლის გამოჩენასაც ხალხი მქუხარე ტაშით ხვდება.

ზოგიერთი ორატორები თავის სიტყვებში ეხებოდნენ მთავრობის მოქმედებას, ამიტომ მოვალეთ ვსთვლი ჩემ თავს მოგცეთ ზოგიერთი განმარტებები. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ჩვენ გვქონდა ორი მოწინააღმდეგე ფრონტი. ერთ ფრონტზე ბოლშევიკები იყვნენ, მეორეზე—ოსმალეთი. შავი რაზმის საფრთხეზე ჩვენ არ ვფიქრობდით. რეაქციას თავი არ ჰქონდა წამოყოფილი, ჩვენ ვფიქრობდით, რომ მათთან საქმე გათავებული იყო და მთელი ჩვენი ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ ეს ორი ფრონტი დაგვეს უსტებინა. ყოველივე ღონისძიებას ამ ბრძოლაში მიღებულს ერთად ერთ მიზნათ ჰქონდა რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, არის პოლიტიკური ფორმები, რომლის

# მოქალაქენო! საქართველოს რესპუბლიკა განსაცდელშია

**მრავალრიცხოვანი მტრები ევაგ-ურანივით დაგვეხვევიან თავს. მათ სურთ ხელი შეგვიშალონ დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, მირი გაუთხარონ ჩვენ დამოუკიდებლობას, ჩვენ დემოკრატიას. შემოკრბით ჩვენი პარტიის გარშემო, ენერგიულად მონაწილეობა მიიღეთ არჩევნებში, დაუმტკიცეთ მტრებს თქვენი ძალა.**

## ძირს ბნელი ძალები! გაუმარჯოს თავისუფალ დემოკრატიას თავისუფალ რესპუბლიკაში.

შემწეობით ჩვენ ვფიქრობდით რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებას. და ეს ჩვენ დღემდე შევძელით.

მართალია, ჩვენ წინააღმდეგ აიხედრდენ ბევრი მტრები, ბევრი საყვედურები იყო ყოველ მხრივ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ მივდიოდით ჩვენი მიზნისკენ და მივედით იქამდე, რომ ყოფილი რუსეთის საზღვრებში, მხოლოდ ჩვენთან ბატონობს დემოკრატია. სომეხ-ქართველთა ომის დროს ჩვენ დავინახეთ ახალი საფრთხე—შავი რეაქცია. მაშინ ჩვენ გავიგეთ, რომ სოჭის ოლქში ჩვენ გვიპირობენ დაცემას და ჩვენ მივიღეთ ზომები. ჩვენ მივმართეთ ინგლისის მისიას და მიუთითეთ, რომ ტუაპსეში სდგება რაზმები, რომლებიც აპირობენ ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრებას. ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ სოჭის ოლქი ჩვენ დროებით გვეჭირავს, რომ ჩვენ მზათ ვართ თავი დავანებოთ მას, თუ ამით არ დაირღვევა ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები და წინ დადება მივეცით ინგლისის სარდლობას დაეკავებია ოლქი.

პასუხის მიღებამდე ჩვენ უკან დახევა დავიწყეთ, მაგრამ ჩვენ წინადადება მოგვცეს დავრჩენილიყავით სანამ კითხვა სოჭის ოლქზე სამშვიდობო კონფერენციაზე გადაწყდებოდა.

ამ ხაზზე დარჩენა სამძიმო იყო ჩვენთვის პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით და ჩვენ მზათ ვიყავით გადაგვეცა ის ყუბანის მთავრობისათვის. ამავე დროს ოლქის მუშებმა, გლეხებმა და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ განაცხადეს, რომ დენიკინი მათთვის მიუღებელია და, როცა მცხოვრებლებმა გაიგეს ჩვენი წასვლის სურვილი, ჩვენთან მოვიდნენ სხვადასხვა დელეგაციები თხოვნით დავრჩენილიყავით იქ.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს ფრონტი უზრუნველყოფილია ბრიტანეთის გარანტიით და დავტოვეთ იქ მცირე გარნიზონი. ხმები შეტევაზე მზადების შესახებ თანდათან იზრდებოდა, მაგრამ ინგლისის მისიამ განაცხადა, რომ ეს არ მოხდებაო.

აქ ევეი გამოითქვა იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების სიტყვა საქმეს არ ეთანხმება. მე არავითარი საბუთი არა მაქვს მათ გულწრფელობაში ეჭვი შევიტანო. ინგლისის მისიის წარმომადგენელი მეტად შესწუხდა, როცა ჩვენ განუცხადეთ დენიკინის შემოჭრაზე, ის დარწმუნებული იყო, რომ დენიკინი ვერ გაბედავდა ეს ჩაედინა. მე ვფიქრობ, რომ ინგლისი არ არის დაინტერესებული დენიკინის აქეთ წამოსვლით, არამედ ჩრდილოეთით, სადა ბალშევიზმია გამეფებული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დენიკინმა ბოროტად ისარგებლა მოკავშირეთა ნდობით და გადასწყვიტა ჯერ ამიერ-კავკასია დაიპყროს და შემდეგ ჩრდილოეთისაკენ დაიძრას.

ამ გეგმაზე ლაპარაკობენ აქაც, მას დაუფარავად ქადაგობენ ბათუმის პრესაშიაც.

ყოველივე მომხდარ ამბებში დამნაშავე არიან არა მოკავშირენი, არამედ ის შავი რეაქცია, რომლის წარმომადგენელნიც ატყუებენ ბრიტანეთის მისიას.

თუ აშკარა შეიქნება, რომ ეს ასე არ არის მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენ მზათა ვართ დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. შესაძლებელია, რომ მოკავშირეთა ზოგიერთი წვრილი აგენტები ხელს უწყობდენ ჩვენ მტერს მოქმედებაში, მაგრამ ეს არ ეთანხმება მოკავშირეთა და უმაღლესი სარდლობის ინტერესებს. მათ ინტერესს შეადგენს ბალშევიკებზე გამარჯვება და ამ მიზნით დაუკავშირდენ ისინი დენიკინს და როცა დაინახავენ ნამდვილ სახეს მოხალისეთა ჯარისას, მაშინ შეიძლება მათ უფრო კრიტიკულათ მოეპყრან. ბრიტანეთის მისიის დამოწმება ჩვენთვის ძალაში რჩება. მაგრამ ჩვენ მზათ უნდა ვიყვნეთ ჩვენი ინტერესების დასაცავად, ამისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა შეიქნეს რეალური ძალა. ჩვენსკენ მომავალი საშიშროება ოსმალთა შემოსევაზე უარესია, რადგანაც დენიკინის გამარჯვებას მოჰყვება არა მარტო რევოლიუციის მონაპოვართა განადგურება, არამედ დემოკრატიის ფიზიკური გაწყვეტაც. ჩვენ უნდა ყოველივე ძალა მოვიკრიბოთ, რომ შევქმნათ საომარი ძალა და მაშინ, როგორც ბალშევიკებთან ბანდების გაქცევა დავინახეთ, ისე დავინახავთ დენიკინის ბანდების გაქცევასაც. (მქუხარე ტაში).

შემდეგ ლაპარაკობს სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე. როცა მე მივიღე ღამის 2 საათზე ცნობა, დენიკინის მოთხოვნილებისა იარაღის ჩაბარების შესახებ, დაუყონებლივ შევატყობინე ეს მოთხოვნილება ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს. მე მივიღე ასეთი პასუხი, „დემოკრატიას არ შეუძლია იარაღი დაჰყაროს შავ-რაზმელების წინაშე" (მქუხარე ტაში, დეპუტატები ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ ნოე ჟორდანიას). თავმჯდომარის ეს სიტყვები მთელ მხარეს უნდა მოედოს და მათი პასუხით ჩვენი ლოზუნგათ უნდა იყოს ამოძახილი „მობილიზაცია". თუ გამოაშკარავდება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ბეგებთან და დენიკინთან (ჯერ ჩვენ საბუთი არა გვაქვს მოკავშირეები ამ საქმის მონაწილეთ ჩავთვალოთ), ჩვენ გეტყვით თქვენ ამას და ერთად გამოვძებნით ბრძოლის საშუალებას და მე მრწამს, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ ისე, როგორც დღემდე ვჯობნიდით ჩვენს მტრებს (ტაში).

მთავრობის წარმომადგენლების შემდეგ ბოლო სიტყვა ეძლევა მომხსენებელს ალ. ლომთათიძეს ის სცნობს, რომ მთავრობის წარმომადგენლების გამოსვლამ საბოლოოთ ვერ გააშუქა საქმის მდგომარეობა. არ არის უარყოფილი ფაქტი, რომ ინგლისს შეეძლო, თუ მოისურვებდა მოხალისეთა ჯარის მსვლელობა შეეჩერებინა, და რომ მან დღემდე ეს არ ჩაიდინა.

აქ შეიძლება დაუშვათ მხოლოდ ერთი რამ: შეიძლება, რომ მხოლოდ ეხლა გაიგო ინგლისმა დენიკინის პოლიტიკა, მაგრამ მაშინ მისიამ დღეიდან უნდა იაროს იმ გზით, რომელიც დაამტკიცებს მათ სიტყვისა და მოქმედების ერთიანობას, მაგრამ, სანამ ეს არ არის ჩადენილი, ჩვენი ეჭვი ვერ გაქრება. აქ ყველა ლაპარაკობდა, რომ ისინი მზათ არიან გამოვიდნენ მტრის წინააღმდეგ, მაგრამ აუცილებელია სიჩქარე.

არა ვართ დარწმუნებული, რომ სოჭისა და ახალციხის გარეშე ჩვენ კიდევ არ გაგვეხსნება სხვა ფრონტი, რადგანაც შავი ძალები ყოველ მხრივ გვეხვევიან გარს. მთელი ჩვენი ძალები მზათ უნდა გვყავდეს და მთავრობის პირველ მოთხოვნისათანავე გამოცხადდენ იქ, სადაც ეს აუცილებლად საჭირო იქნება. ჩვენ არ გვ ნდა ომი, მაგრამ მთელი ჩვენი ძალა და ენერგია იქითკენ იქნება მიმართული, რომ დემოკრატიის საქმეები დაცულ იქნას. მიღებულ უნდა იქნას ყოველივე ზომები ზურგის გასაწმენდათ, ვინც ჩვენთან არ არის ამ მძიმე პირობების დროს, ის ჩვენი წინააღმდეგია. ჩვენ წინ დგება კითხვა არამც თუ მარტო თავისუფლების, არამედ დემოკრატიის ფიზიკურ არსებობის დაცვისა და ყოველივე ზომა უნდა იქნას მიღებული მის დასაცავად.

ამის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ჩვენ გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი.

**მოქალაქენო!**

**ბალშევიკებისა და რეაქციონერების წყალობით მთელი რუსეთი ააოხრეს, ქალაქები დაანგრიეს და ააწიოკეს.**

**საქართველოში სოციალდემოკრატიამ იხსნა ყველა ქალაქები დარბევა აწიოკების გან.**

**ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.**

## ხმა ფრონტიდან

სოჭის ფრონტი. 11 თებერვალი.

მუხანათმა მტერმა შემოგვიტია სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სამუდამოთ უნდა ჩაეყროდა მტკიცე საძირკველი, იმ დროს დაგვეხსნ თავს, როდესაც მრავალნი მოწინავე მუშები, რომელნიც დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის საჭირო იყვნენ, როგორც სოფლად, ისე ქალაქათ, რათა არჩევნების დროს ენერგიული მონაწილეობა მიეღოთ არჩევნების კარგათ ჩასატარებლათ—სწორედ იმ დროს მოწინავე მუშები, გვარდიელები მივეშურებით შავი გენერლის, შავი რეაქციის შესაჩერებლათ, რომელიც წალეკვას უქადის ჩვენ დემოკრატიულ თავისუფალ საქართველოს, რომ მის ნანგრევებზე ააშენოს შავი რეაქცია და სისხლის მორევში ჩაახრჩოს ყველა დემოკრატი, მაგრამ ჩვენ მუშები სახალხო გვარდიის სახით არ დავუშვებთ მუხანათურ მტერს, რომ ჩვენ თავისუფალ ტერიტორიაზე ფეხი შემოდგან და თუ ასეთს გაბედავს, ჩვენგან შესაფერ პასუხს მიიღებს, როგორც მიიღო სხვა ჩვენმა მტრებმა ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ჩვენ თავისუფლებას ყველაგ მტრისაგან, მხოლოდ დარჩენილ ამხანაგებს მოვუწოდებით გააორკეცონ დამფუძნებელ კრების არჩევნებში მუშაობა, რომ ჩვენი აქ წამოსვლა ცუდათ არ დააჩნდეს საქმეს, მოვუწოდებ ყველა ამხანაგებს ენერგიულ მუშაობისაკენ.

გვარდიელი რ. ნიჟარაძე.

## პატარა ფელეტონი
### სადღეისო კუპლეტები.

არჩევნები მოახლოვდა,
პარტიები აბობღდა
(თუმცა ხალხმა უკეთ იცის
მისთვის კარგი ვის რა სურდა),
ყველა ეხლა დაფაცურდა
(მაგრამ ზოგ-ზოგს იმედები
წინდაწინვე გაუცუდა).

—

ეს ვეშაპი (ვეშაპელი)
ნეტა როდის მოისვენებს!
(სიზმარშიაც ორატორობს
და უდრინავს თურმე ჩვენებს,
სხვისი იმას არრა მოსწონს,
არცა თავისიანების!
(ბრიყვი ბრიყვულს კი არ იზამს,
რომ ესმოდეს ჭკვიანების).

—

გვაზავამ სთქვა: მუდამ ასე
ვიჯამბაზებ, ვიკლოუნებ,
სანამ მიწას მემამულეს
სუყველას არ დაუბრუნებ.
რას მიქვია გლეხის მიწა,
ის უნდა იხდიდეს ლალას
და მუდამ კი თაყვანს სცემდეს
თავადების მუშტის ძალას.

—

თ. ღლონტს ჰკითხეს: ერთი გვითხარ,
დემოკრატებს რას უწუნებ,
მუდამ რომ მათ ეჩხუბები,
ვერ ისვენებ, დაწრუწუნებ?!
მან სთქვა: ჩემსა საიდუმლოს
ვერავინ ვერ გაიგებსო,
მაშ ფინია რასა ქვია,
თუ მუდამ არ იყეფებსო?
(და მანები ერთი თავი
იქნებ რამე დავიხეფსო).

—

ეს არშაკა ზურაბოვი
ნეტა რაღას გვედავება!!
თუ მას ტყუილი გაუდიდდა
და გვერდები ექავება—
გადავიდეს რუსეთისკენ
დაადებენ ზედ მალამოს,
(დაიგემებს იქ ცხოვრებას
სანატრელს და სასიამოს).

—

მერკვილაძე (სოსიკელა)
დღე და ღამე დაფართხალებს,
არჩევნები თუ სადმეა
ის აგროვებს მუდამ ბატებს,
აგი ერთი ბურჯი კი ყავთ
ნაციონალ დემოკრატებს
(მისი თავი დაენაცვლოს
მის გაყვანილ „დეპუტატებს").

მათრახოსანი.

## მემამულე მუხრანსკისა და ინგლისელები
(წერილი მუხრანიდან)

რამდენიმე დღის წინათ ს. მუხრანში (დუშ. მაზრა) ერთ ფრიად სამწუხარო შემთხვევის მოწმე გავხდი.

„ბ-ნმა ა. ბაგრატიონ-მუხრანსკისამ ინგლისელი ჯარი მოიყვანა ზეკუცით", ამბობს ერთი გლეხი, რომელიც ამის გამო დიდ გაკვირვებას გამოსთქვამს.

— „ისევ ძველი მთავრობა იმარჯვებს—ჩვენ მთავრობას აღარ ვახსოვართ", ამბობენ მეორენი და მწუხარებას მწარე ოხვრით გამოსთქვამენ.

რაშია საქმე?

იანვრის გასულ რიცხვებში თფილისიდან ამოვიდა 30—40 ინგლისელი ჯარისკაცი, რომელთაც ამოუძღვა თვით ქ-ნი ა. ბაგრატიონ-მუხრანსკისა. მან ეს ჯარისკაცები მიიყვანა თავისევე სასახლეში, სადაც დაიბარა ადგილობრივი დროებითი კომისარი გ. ბ. და სოფლის ამორჩეული კაცები. ა. ბ. მუხრანსკისამ მათ ბრძანების კილოთი შემდეგი მოთხოვნილებები წარუდგინა: თუ რამ გაფუჭებულია, დაკარგულია, ანდა შემდეგში თუ რამ ზიანი მიადგება მის სასახლეს და ყველა მის კერძო საკუთრებას, პასუხი უნდა აგოს სოფელმა. გატეხილი ლობეები უნდა შეკეთებულ იქნას, ეზო დასუფთავებული, ყოველივე, რაც კი საჭიროა ჯარისთვის, როგორც მაგ., შეშა და სხვა უნდა იკისროს თვით სოფელმა.

ა. ბ. მუხრანსკისას ამას წინეთ ი. გოგოლაშვილისთვის მიეყიდნა ქვიშა და ქვა. ი. გოგოლაშვილს უსახსრობის გამო ნაყიდი ქვიშა და ქვა, რომლის ფულიც მას სრულად აქვს გადახდილი, ჯერჯერობით ვერ გადაუზიდია თავისას. დღეს კი ა. ბ. მუხრანსკისა მას აღარ აძლევს. ამ მოლაპარაკების დროს ა. ბ. მუხრანსკისა ხშირად ხმარობდა თურმე უადგილო სიტყვებს. არც თუ ინგლისელების საქციელია მოსაწონი, რომლებიც სოფლის წარმომადგენლებს ჯოხებს სჩრიდნენ თვალებთან.

საკვირველია, რა უფლებებით ხელმძღვანელობდა ა. ბ. მუხრანსკისა? რითი აიხსნება მისი ასეთი უხეში ზომები?

თუ რომ გლეხებმა მის სახლს ან ეზოს რაიმე ზიანი მიაყენეს, ხომ არსებობდა სხვა სამართლიანი გზა? რა საჭირო იყო ასეთი გაუგებრობის, ბურუსით მოცული მდგომარეობის შექმნა?

— „მე გოგოსავით დავსდევ უკან და თქვენ რატომ ეგრე არ ეპუებითო".

რა უნდოდა ამითი ეთქვა ა. ბ. მუხრანსკისა?

ნუ თუ ის, რომ ჩემი ბრალი არ არის,— მე რასაც მიბრძანებენ იმას ვაკეთებ და თქვენც ამასვე გირჩევთო?

საჭიროა გაიგოს ხალხმა რაშია საქმე—უბრალო გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, თუ მართლა ინგლისის მთავრობის ან სარდლობის განკარგულებით იყვნენ გამოგზავნილი ჯარისკაცები, ან რა საბუთით? **ეული.**

**მოქალაქენო!**

**ხმა მიეცით საქართველოს სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას!**

## ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი** 9 თებერვალს შესდგა მე 6 რაიონული კოლექტივის წევრთა არა ჩვეულებრივი სხდომა. კრებას დაესწრო 11 წევრი. თავმჯდომარეობდა ამხ. ი. ირემაშვილი. დღის წესრიგს შეადგენდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. პირველ ყოვლისა კოლექტივი ისმენს მოხსენებებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიიდან და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებიდან. მოხსენების შემდეგ კრებაადგენს: 1) ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე, სახელოსნო სასწავლებლის შენობაში ინიშნება მე 4 სამ. უბანში პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრება, 2) ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე, მუშათა კლუბში ინიშნება მე 5 სამილ. უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრება. 3) უბნების საარჩევნო კომისიებს ევალებათ მოაწყონ უბნებში ბიუროები ამომრჩევლებისთვის ცნობების მისაწოდებლად, 4) მე 4 სამილიციო უბნის კომისიაში შედიან ვ. ალიხანოვი, ინწკირველი ვ., ნაკაიძე გ., პაპიშვილი დ., კვლივიძე და (ამხ. ტერელაძის მაგიერ, რომელიც ავად არის) 5) მე 5 სამილიციო უბანში: ათაბეგოვი, ვ. შანიძე, ირ. ჯორჯიაშვილი ვარა, ბუაჩიძე დ., შუბლაძე ისაი. 6) პლაკატების გაყვანა მთელ რაიონში ევალება რაიონულ საარჩევნო კომისიებს და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას. 7) კრების მოსაწვევ „ლეტუჩქების" ორ ენაზე დაბეჭდვა ევალება ამხ. გ. ნაკაიძეს. **ნაპერწკალი.**

—

**თფილისი.** 6 თებერვალს შესდგა მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება ს. ელენტის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება—დამფუძნებელი კრება, 2) საზოგადო კრების მოწვევა, 3) განათება, 4) ამხ. შ—ძის განცხადება. პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. შალ. აბდუშელიშვილი და ატარებს იმ აზრს, რომ უნდა დაიხარჯოს ყოველივე ძალა იმისათვის, რომ ქალაქის არჩევნებზე, რაც დაგვაკლდა, ის უნდა შემსებულ იქნას ეხლა; ამისათვის საჭიროა ყველა ჩვენი ამხანაგები და თანამგრძნობლები შემოვიკრიბოთ ჩვენს გარშემო და საერთო იერიშით დავამარცხოთ შინაურ გარეშე მტრებიო.

შემდეგ ამისა კოლექტივმა გამოჰყო თავისი წრიდან რამდენიმე პირი და მორიგებით ევალებათ პრეზიდიუმთან ერთად საჭირო კითხვებზე პასუხის გაცემა და ამოძრავება მასსის, საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. ამის შემდეგ კრება ადგენს, ოთხშაბათს 5 საათზე მოიწვიონ საზოგადო პარტიული კრება. მოხსენების შემდეგ მოხდება განაწილება უბნებისა,—რომ უფრო ნაყოფიერი გამოდგეს მუშაობა. მეოთხე კითხვაზე ამხ. შ—ძის განცხადების შესახებ, რომ ზოგი მთვრალი ოფიცერი უდიერად ეპყრობიან მოქალაქეებს, რაც გამოიხატება ცემა-ტყეპაში და ლანძღვაგინებით დამუქრებაში. კოლექტივი გმობს ასეთ საქციელს ოფიცრებისას და რომ აღარ ექნეს ადგილი მომავალში, ამიტომ მიაქცევს იმათ ყურადღებას, ვისიც ჯერ არს.

9 თებერვალს ს. დ. ავლაბრის და ნავთლუღის საარჩევნო კომისიის თაოსნობით შეიკრიბნენ კოლექტივის ბინაზე მე 5-თე და მესამე კოლექტივის წევრები და მოწინავე ამხანაგები. კრებას თავმჯდომარეობს ამხ. გიორგი მინდიაშვილი. მოხსენებას აკეთებს თფ. ც. საარჩევნო კომიტეტიდან ამხ. გერმანე მესხიშვილი. მან განუმარტა ამხანაგებს წინანდელი ნაცადი ბრძოლის საშუალებანი და მიუთითა ამხანაგებს ერთ გარემოებაზე, რომ ავლაბარ-ნავთლუღში—კახეთის რკ. გზ. მრავალი ამხანაგებია და ამისათვის საჭიროა ამათი თავის მოყრა. გადაწყდა მოწვეულ იქნას ყველა მომუშავე ამხანაგები და გაიმართოს კრებები ყველა უბნებში. **ქ. ბ.**

**მოქალაქენო!**

**ქართველი ნაციონალ დემოკრატები რეაქციას ემსახურებიან და მემამულეთა ინტერესებს იცავენ.**

**ხმა მიეცით მემამულეთა პარტიის წინააღმდეგ.**

**ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.**

## პროვინცია

**სამტრედია.** 1 თებ. შესდგა სამტრედიის რაიონის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს კრება კ. შენგელიას თავმჯდომარეობით. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ დასმული იყო განსარჩევათ საკითხები: 1) მიმდინარე მომენტი, რომელზედაც მოხსენება გააკეთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარემ პ. წულაიამ. შეკითხვების და ახსნა განმარტების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო მომხსენებლის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია: „მოისმინეთ რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, საბჭო სავსებით იწონებს ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯები, როგორც შინაურ, ისე საგარეო პოლიტიკაში და აღუთქვამს მას სრულ ნდობას და დახმარებას ჩვეულებრივათ. ამასთანავე, შეეხეთ რა დამფუძნებელ კრების მოწვევის საკითხს, რომლის არჩევნები ჩვენი მთავრობის მიერ დანიშნულია 14, 15 და 16 თებერვალს და ვაღიარებთ რა, რომ მის შემადგენლობას მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დღემდის რევოლიუციის მიერ მონაპოვართა გასამტკიცებლათ გამაგრებისთვის, ისე მომავალ მუშაობისთვისაც დემოკრატიის საკეთილდღეოთ და ამასთანავე იმისაც, რომ დღეს პარიზში შეკრებილ საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე უნდა გადაწყდეს სხვა სახელმწიფოებთან ერთად ჩვენი პატარა სახელმწიფოს ბედიც, რომლის გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა ექნება იმ ფაქტს, თუ როგორი შემადგენლობის და ერთსულოვნობის დამფუძნებელ კრებას ავირჩევთ ჩვენ და ამიტომ სამტრედიის რაიონის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭო მოუწოდებს მთელ ხალხს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელ კრების არჩევნებში ყველა ზემოდ დასახელებულ მიზნების მისაღწევათ მთელი ხალხის საკეთილდღეოთ. ამასთანავე კრება მხურვალეთ მიესალმება ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, რომლის სწორმა პოლიტიკამ და მეთაურობამ შეგვინარჩუნა ჩვენ დღევანდელი მდგომარეობა.

მეორე საკითხათ იყო დასმული მოხსენება აგრარულ საკითხზე, რაზედაც მოხსენება გააკეთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა ევგენი ძიძიგურმა. კრებამ მიიღო მომხსენებლის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია: „მოისმინა რა კრებამ მოხსენება მიწის საკითხზე პარლამენტის მიერ მიღებულ რეფორმით, ვიწონებთ მას და გადავდივართ მორიგ საკითხზე.

მესამე საკითხი იყო მოხსენება საბჭოს მუშაობაზე დღიდან დაარსებისა, რაზედაც აღმ. კომიტეტის დავალებით მოხსენებას აკეთებს პ. წულაია, რომელმაც მოახსენა კრებას ცნობები მთელი 23 თვის მოქმედების შესახებ, თუ როგორ იდეურ და პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებდა საბჭო დღიდან დაარსებისა. მოხსენებამ კრებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დაადასტურეს და მოიწონეს რა იგი, ერთხმათ გადაწყვიტეს—სამტრედიის გარეთ საზოგადოებაშიაც ფართე კრებებზე განმეორებულიყო ეს მოხსენება.

საბჭოს წარსულ მუშაობაზე მოხსენების გათავების შემდეგ იგივე მომხსენებელი აკეთებს მოხსენებას საბჭოს მომავალ მუშაობაზე და აღნიშნავს, რომ საბჭოს არსებობა მომავალშიაც საჭიროა, ადგენს გეგმას, თუ რა ფორმაში და რა გეგმით უნდა იმუშაოს მომავალში საბჭომ და სხვა, რაიც მიღებულ იქნა კრების მიერ.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა სხვადასხვა განცხადებები და ცნობები სხვადასხვა წარმომადგენლებისაგან და თანამდებობის 3 რეთაგან და ყოველივე სისრულეში მოყვანა დაავალა საბჭოს პრეზიდიუმს.

კრების მდივანი ს. ხუდაბერიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ განმარტებას. „ერთობის“ № 33 მოთავსებულია წერილი სათაურით: „დამფუძნებელი კრების გარშემო“, სადაც ჩემს პიროვნებას ჩირქსა სცხებენ. მე მოვითხოვ, რომ: 1) გამომჟღავნებული იქნეს რედაქციისაგან ვინაობა წერილის ავტორისა, 2) ვიწვევ მას სამედიატორო სასამართლოში, 3) ვაძლევ მედიატორების დასასახელებლად ან და ცილისწამების უარის საყოფათ სამ დღეს, 4) განაჩენი გამოქვეყნებული უნდა იქნეს პრესაში.

თუ რომ ავტორი დანიშნულ დროს არ შეასრულებს ჩემს მოთხოვნილებებს იძულებული ვიქნები მივსცე სამედიატორო სასამართლოში მე-95 მუხ. ძალით (ნახ. კან. არ-ჩ.) მედიატორებათ ვასახელებ ჩემის მხრივ ვასილ ქავთარაძეს და ნიკო კიკნაძეს.

ალექსან. დევდარიანი.

შენიშვნა. თუ ავტორი წერილისა არ იქნება გამოქვეყნებული, მაშინ ყველა ამ მოთხოვნილებებს ვუყენებ რედაქციას.

ა. დ.

რედაქციისაგან: რედაქცია აცხადებს, რომ გაზეთში დევდარიანის შესახებ მოყვანილ ფაქტებს ის სრულ ჭეშმარიტებათ თვლის და, რომ საქმე არ გაჭიანურდეს, არ დაუცდის კორესპონდენტის პასუხს ამ საგანზე და ნიშნავს თავის რწმუნებულათ ამხ. შალ. აბდუშელიშვილს, რომელსაც უფლება ეძლევა რედაქციის სახელით აწარმოვოს ეს საქმე, როგორც ბატონ დევდარიანმა, ისე მისმა მედიატორეებმა ამის შემდეგ უნდა მიმართონ ამხ. აბდუშელიშვილს. ადრესი—თფილისის კომიტეტი.

# განცხადებანი

ექიმი
### კეკელია
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი
### ნ. გ. გეგეჭკორი
სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყირილაროვის ქუჩა № 10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელეფ. 17—68

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
### გ. ვ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 25, ტელეფონი 7—92

კბილის საექიმო კაბინეტები
თამარ საყვარელიძისა და ციკლაურისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—85.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
### ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი
### დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი ქალი
### ვაინი
იღებს სპეციალურად საშვილო და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდებნაია, 33 ეზოში.

ექიმი
### ი. გ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვორონცოვის ქუნის ქ. № 3.

---

### ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი ქალი
### ე. ს. კარუკეს — გეგურიშვილი
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა საშვილო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ქალი
### რ. ბ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საშვილო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი
### ანასტია ლვოვიჩი-ორლოვსკი
მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7.
ქუჩენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—10)

ექიმი
### ვ. ნ. ჩუპრინინი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქ., № 30.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
### მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხახვლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი მ. ა. ჭაჭკანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი ფ. მ. ჯაშარაძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6 ს, მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

გაიხსნა
### კერძო საავადმყოფო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

## ახალი კლუბი
სამშაბათს თებერვლის 18-ს 1919 წ.
თამარ-მეფის სახელობის ქალთა ხალხური ხელოვნებასთან არსებულ მშობელთა წრე მართავს ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ:
### წარმოდგენა-კონცერტს

I
ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
**ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს**
კომედ. 2 მოქმ.
დასაწყისი 7 ნახ. საათზე.

II
### მიხეილ კავსაძის
მომღერალთა გუნდი შეასრულებს სახალხო სიმღერებს 2 განყოფილებათ.
ადგილების ფასი 5 მან.—20 მდე.

## განცხადება
სამხედრო მინისტრმა მიბრძანა მე, ოფიცერთა რაზმის ყოფილ უფროსს კაპიტან უთნელაშვილს, სამშობლოს დაცვისათვის ახალციხის ფრონტზე გასაგზავნათ ხელმეორეთ შევადგინო ოფიცერთა რაზმი შემდეგი პირობებით: თითოეულ ოფიცერს მიეცემა ერთდროულ დახმარების სახით ათასი მანეთი, უნცროსი ოფიცრის ჯამაგირი, ტანსაცმელი და ჯარისკაცის ულუფა. იმ ოფიცრებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით და მოვალეობის შეგნებით არიან გამსჭვალულნი, ვსთხოვთ ჩაეწერონ დასახელებულ რაზმში სამხედრო სასწავლებლის კანცელარიაში (მიხეილის ქუჩა). იქვე მიიღებიან არა-გასაწვევ ხნოვანობის ბრძოლისათვის გაწაფული მოხალისენიც, სახალხო გვარდიელთა უფლებებით.
(2—1) ოფიცერთა რაზმის უფროსი კაპიტანი უთნელიშვილი.

## სახელმწიფო თეატრი „კავშირი“-ს დასი.
წარ. № 21 ორშაბათს, 17 თებერვალს წარ. № 21
წითელ ჯვართან არსებული ქალთა დამხმარე კომიტეტი ახალციხის ლტოლვილთა სასარგებლოდ „კავშირი“-ს დასის დახმარებით გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე
### მეორე ნაწილი
# სინათლე
ფერია ზღაპარი 7 სურ. ი. ევდოშვილისა.
დასის გარდა მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ხორო და ორკესტრი, ბალეტი ბ-ნ ვაკარეცის ხელმძღვანელობით და ქ. ბაუერზაკსის მონაწილეობით.
მუსიკალური ნომრები შედგენილია სპეციალურად ამ პიესისათვის კ. ფოცხვერაშვილის მიერ. დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარი ზალცმანის მიერ.
რეჟისორი შალვა დადიანი. ადგილების ფასი მომატებული.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე. წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე.

ამხანაგობათა კავშირის დირექცია.
## ქართული თეატრი
შაბათს, თებერვლის 15 ს 1919 წ. სტუდიის წარმოდგენა № 6
# ბურუსი
პიესა სამ მოქმედებად სიო ჭანტურიშვილისა. დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.
რეჟისორი კ. მათიკაშვილი. სამხ. ნაწ. გამგე ბ. ქიქოძე. (1—1)

## განცხადება
თანახმად განის (ქუთაისის მაზრა) საზოგადოების დადგენილებისა მიმდ. წლის 21 თებერვალს საჯარო ვაჭრობით
# იჯარით გაიცემა
ამავე საზოგადოების აფთიაქი, ვაჭრობა დაიწყება დილის 10 საათ. თვით აფთიაქის შენობაში. მსურველს შეუძლია გაეცნოს აფთიაქის მდგომარეობას და მისი გაცემის პირობებს კომისიის წევრთან. მისამართი: ს. განი (ქუთაისის მაზრა) ფოსტა ტელეგ. განყოფილება, გასილი აბულაძიანი. (3—1)

დანაშთლდა ჟურნალი
# „საქართველოს ეკონომისტის“
გამოცემა, ყოველგვარი ძალაუბი დროებით, უნდა გადაიგზავნოს შემდეგი მისამართით: კალოუბნის (ბარონის ქ.) № 5. მთავრობის სტამბა. „საქართველოს ეკონომისტისათვის“ (3—3)

---

## დამფუძ. კრების მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისიისაგან
თფილისის მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია აცხადებს საყოველთაოდ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდება ამა წლის 14, 15 და 16 თებერვალს, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | **1 კომისარიატში:** |
| 1 | საარჩევ. უბანი. | | ქართულ უნივერსიტეტის შენობაში, ვაკე. |
| 2 | „ | „ | საზოგადოების თეატრში; |
| 3 | „ | „ | ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლღას ქუჩა, სახლი მაჩაბლისა, № 52. |
| 4 | „ | „ | პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში, კიროჩნის შესახვევი. |
| 5 | „ | „ | სამიწადმზომელო სასწავლებელში, გუნიბის ქუჩაზე; |
| 6 | „ | „ | მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიევის ქ. 23. |
| | | | **2 კომისარიატში:** |
| 7 | „ | „ | მინიატიურის თეატრში, მელიქ აზარიანცის ს., ვერის დაღმართი; |
| 8 | „ | „ | არტისტიულ საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პრ.; |
| 9 | „ | „ | ღარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახ., სასამართლოს ქ. 43. |
| 10 | „ | „ | თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში; |
| | | | **3 კომისარიატში:** |
| 11 | „ | „ | პირველ ვაჟთა გიმნაზიაში, გოლოვინის პროსპ. |
| 12 | „ | „ | სამოქალაქო სასწავლებელში, სახ. აფრიკიანისა, ბებუთოვის ქ. |
| 13 | „ | „ | სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშევისა, ბებუთოვის ქ. |
| | | | **4 კომისარიატში:** |
| 14 | „ | „ | სახელოსნო გამგეობაში, სალდათის ბაზარი. |
| 15 | „ | „ | მანთაშევის ქარვასლაში, სომხების ბაზარი, № 62; |
| 16 | „ | „ | სომხების საქველმოქ. საზოგადოების დარბაზში, აბას-აბადის მ.; |
| | | | **5 კომისარიატში:** |
| 17 | „ | „ | მაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზე; |
| 18 | „ | „ | პუშკინის საქალაქო სკოლაში, ვორონცოვის ქუჩაზე; |
| 19 | „ | „ | ტოლლეს ქარხნის კანტორაში, ვორონცოვის ქუჩაზე, (არზრუმის მოედანი). |
| | | | **6 კომისარიატში:** |
| 20 | „ | „ | ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქუჩაზე; |
| 21 | „ | „ | ქალაქის ახალ სასაკლაოს კანტორაში; |
| 22 | „ | „ | ძმათა ტ.-აბრამოვების ნავთის ამხ. კანტორაში, კახეთის ქ.; |
| 23 | „ | „ | სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ. № 46; |
| 24 | „ | „ | მურაშკოს თეატრში, თელავის ქუჩაზე; |
| 25 | „ | „ | ცარიელ დუქანში, კახეთის ქუჩაზე, სადაც იმყოფებოდა მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგადოების განყოფილება; |
| | | | **7 კომისარიატში.** |
| 26 | „ | „ | არაკსიანის თეატრში, კონსტანტინეს ქუჩა. |
| 27 | „ | „ | მე-5 ვაჟთა ავლაბრის გიმნაზიაში, პეტრე-პავლეს ქუჩა. |
| 28 | „ | „ | ცარიელ მაღაზიაში, კუთხე ლაზარევისა და ხივის შეს. ს. მანუკოვისა № 57; |
| 29 | „ | „ | მარინეს საეკლესიო შკოლაში; |
| 30 | „ | „ | ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქუჩა, 1. |
| | | | **8 კომისარიატში.** |
| 31 | „ | „ | ალტმანის სახლში, კუთხე პროექტიროვანის და კახეთის ქუჩა; |
| 32 | „ | „ | მალაკნების საზოგადოების სკოლაში, დესიმონოვის მოედ. |
| 33 | „ | „ | მე 4 მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში, სურფსარქისის აღმართი. |
| 34 | „ | „ | პირველ კომერციულ სასწავლებელში, 19 თებერვლის ქუჩა; |
| | | | **9 კომისარიატში.** |
| 35 | „ | „ | პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29; |
| 36 | „ | „ | მუშათა კლუბში, ერთობის ფაბრიკ; |
| 37 | „ | „ | მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში, ტურგენევის ქუჩა; |
| 38 | „ | „ | კათოლიკეთა საეკლესიო სკოლაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, 59. |
| 39 | „ | „ | სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ. |
| | | | **10 კომისარიატში.** |
| 40 | „ | „ | ავჭალის აუდიტორიაში; |
| 41 | „ | „ | ენფიენჯიანცის თამბაქოს ქარხნის კანტორაში, ვოგზლის ქუჩა, 6. |
| 42 | „ | „ | 2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფუხის კლუბი) მიხეილის პრ. |
| 43 | „ | „ | ზუბალაშვილის სახალხო სახლში, კიროჩნი ქუჩაზედ; |
| | | | **11 კომისარიატში.** |
| 44 | „ | „ | საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პავლოვსკის ქუჩებისა; |
| 45 | „ | „ | სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა, ს. ბოცმესი; |
| 46 | „ | „ | ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე; |
| 47 | „ | „ | სასურსათო დუქანში ს. მეტეხელისა, ლოდკის ქუჩა, 27. |
| | | | **12 კომისარიატში.** |
| 48 | „ | „ | დემოკრატიულ კლუბში, მუშტაიდი. |
| 49 | „ | „ | რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში, შერვაშიძის ქუჩა; |
| 50 | „ | „ | ყოფ. საჯირითო მოედნის კანტორა; |
| 51 | „ | „ | ავჭალის წყალსადენი; |
| 52 | „ | „ | კოლონია „ალექსანდერსდორფი“. |

საარჩევნო კომისია კიდევ ერთხელ მოაგონებს მოქალაქეთ, რომ ვისაც პირადობის ბარათი არ მიუღია და სიაში კი არის შეტანილი, უნდა მოითხოვოს კუთვნილი თავის საარჩევნოუბანში არჩევნების დღეებში.

საქალაქო საარჩევნო კომისია.

მუშტაიდი **დემოკრატიული კლუბი** მუშტაიდი
კვირას, 16 თებერვალს წარმოდგენილი იქნება
I. **გამცემი**
დრამა 3 მოქმედებათ და 1 სურათად.
II. **დავა**
მეოთხე მოქ. ერისთავისა. დასაწყისი საღ. 6 ნახ. ს. (1—1)

## გვარდიის მთავარი შტაბის
საექიმო-სასანიტარო განყოფილება იწვევს ფრონტზე გასაგზავნათ
### ექიმებს, ექიმის თანაშემწეთ და მოწყალების დებს
და სანიტრებს. ჩაწერა შეიძლება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში სასახლეში. (3—2)

## შაბიამანს
ნიშადურის სპირტს, ტექნიკურსა და დაწმენდილ სიმჟავეებს, აკუმილატორულ სიმჟავეს და სხვ. ამზადებს
# ქიმიური ქარხანა „ატომი“
თფილისი ელისაბედის ქ. № 204, ტელეფ. 152. (4—4)

## სასოფლო მეურნეობის კურსები
მიწათ მოქმედების სამინისტრო ხსნის ამ მიმდინარე თებერვლის 17-ს სასოფლო მეურნეობის საღამოს კურსებს ორივე სქესის პირთათვის სამი განყოფილებით: ჭირნახულის მოყვანის, საქონლის მოშენების (მეძროხეობით) და მებაღეობის (ძვირფასი მკენარეებით).
თხოვნას იღებენ მიწათ-მოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 22 შესავალი ეზოდან, მესამე სართული), პირველი საათიდან სამ საათამდე.
თხოვნაზე ორი თითო მანეთიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. (10—9)

[illegible] № 1.